84-

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„7“ ოქტომბერი 2013 წელი

ეგზ. N2

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტის ანგარიში 01/8/00

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ეფექტიანობის აუდიტი

85

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა 4

აუდიტის მოტივი 4

აუდიტის მიზანი 4

გამოყენებული მეთოდები 5

აუდიტის შედეგები 5

აუდიტის რეკომენდაციები 8

თავი I - შესავალი 10

1.1. აუდიტის კითხვები 11

1.2. შეფასების კრიტერიუმები 11

1.3. აუდიტის შეზღუდვები 12

1.4. ანგარიშის სტრუქტურა 12

თავი II - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის შესახებ 14

თავი III - უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების მიზნობრივად და პროდუქტიულად ხარჯვა 18

3.1. საკუთარი შემოსავლების გამოყენების პროდუქტიულობა 18

3.2. სახელმწიფო სახსრების გამოყენების მიზნობრიობა 19

თავი IV - ეკონომიკური საქმიანობა 21

4.1. სასტუმროები 22

4.2. სტამბა 23

4.3. თეატრი 23

4.4. წიგნის მაღაზია 24

თავი V - უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 26

5.1. ინოვაციური იდეების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევა 26

5.2. სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია 27

თავი VI - სახელმწიფო ქონების მართვა 29

6.1. სამართლებრივი კუთვნილება 29

6.2. ქონების გამოყენება 30

თავი VII – შიდა კონტროლის სისუსტეები 31

7.1. მართვასთან დაკავშირებული სისუსტეები 31

86

7.2. აღრიცხვიანობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლები 31
თავი VIII - განხორციელებული შესყიდვების კანონიერება და ეკონომიურობა 33
8.1. პრეტენდენტების შერჩევა 33
8.2. შესყიდვის პროცედურების დაგეგმვა 36
8.3. შესყიდვის პროცედურების განხორციელება 39
თავი IX - რეკომენდაციები 41
დანართები 44
დანართი #1 - უნივერსიტეტში გაერთიანებული ინსტიტუტები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები 44
დანართი #2 - უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სამეცნიერო დაწესებულებები: 44
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 45

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტი. წინამდებარე ანგარიშში ასახულია აუდიტის შედეგები, გამოვლენილი გარემოებები და რეკომენდაციები.

აუდიტმა მოიცვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების ადმინისტრირება, ფინანსური რესურსების, სახელმწიფო ქონებისა და ეკონომიკური საქმიანობის მართვა და უნივერსიტეტის საქმიანობის სხვა მიმართულებები.

აუდიტის მოტივი

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემისა და ინფრასტრუქტურის განვითარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელწიფო ეკონომიკის წინსვლისთვის. აღნიშნულ სფეროში ცვლილებები, რეფორმები, შემოსავლები და მობილიზირებული საჯარო ფინანსები წლიდან წლამდე მატულობს, რაც მოითხოვს უნივერსტიტეტის საკუთრებაში არსებული რესურსების მიზნობრივად და ეფექტიანად მართვის გაუმჯობესებას.

განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა 2010-2012 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საგანმანათლებლო სისტემის აუდიტის ფარგლებში შეისწავლა ქვეყანაში მოქმედი მსხვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები. განხორციელებული აუდიტის პროექტების შედეგად გამოვლინდა სისტემური ნაკლოვანებები უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების ადმინისტრირების, ფინანსური რესურსების, სახელმწიფო ქონებისა და ეკონომიკური საქმიანობის მართვაში, რაც ზრდის ინტერესს საგანმანათლებლო სისტემის მართვის, ანგარიშვალებულებისა და გამჭვირვალობის, სამეცნიერო მიღწევების რაციონალიზაციის საკითხების მიმართ.

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი, როგორც ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, ბოლო წლებში გამოირჩევა ცვლილებებითა და სწრაფი ზრდის ტემპით. საქართველოს მთავრობისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად 2010-2011 წლებში უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო რესურსები მნიშვნელოვნად გაიზარდა[1]. აღნიშნული ზრდის შიდა კონტროლის მექანიზმებისა და მართვის სისტემების სწორად დანერგვისა და იმპლემენტაციის მნიშვნელობას.

აუდიტის მიზანი

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის აუდიტის მიზანია, შეისწავლოს და შეაფასოს ილიას უნივერსიტეტის რესურსების მართვის მიზნობრიობა და

[1] ილიას უნივერსიტეტში გაერთიანებული სამეცნიერო დაწესებულებების სია მოცემულია დანართ #1

პროდუქტიულობა, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და ეკონომიკური საქმიანობის ადმინისტრირებასთან.

გამოყენებული მეთოდები

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპით, რისკების შეფასების საფუძველზე. შერჩეულ იქნა საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და კომერციული საქმიანობის ადმინისტრირების პროცესები, რომლის საფუძველზე შეფასდა აღნიშნულ სფეროებზე გამოყოფილი რესურსების მიზნობრივად და პროდუქტიულად მართვა. ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები ძირითადად მოპოვებულ იქნა დოკუმენტური შემოწმებისა და ინტერვიუს/გამოკითხვების საფუძველზე. ინტერვიუ/გამოკითხვები ჩატარდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სამეცნიერო-საგრანტო პროექტების ხელმძღვანელებთან. აუდიტის პროცესში განხორციელდა ფიზიკური დათვალიერება უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების შესასწავლად.

აუდიტის შედეგები

აუდიტის პროცედურების განხორციელების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- *ფინანსური სახსრების არაეფექტიანად ხარჯვა*

ყოველი წლის დასაწყისში, უნივერსიტეტს უნდა განესაზღვრა ადმინისტრაციული ხარჯის მოცულობა, რის მიხედვითაც მოხდებოდა საკუთარი შემოსავლების და საბიუჯეტო სახსრების მობილიზება პრიორიტეტულ საკითხებზე.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების განუსაზღვრელობის გამო, 2009-2011 წლებში გამოვლინდა ფინანსური რესურსების ნაკლებობა, რამაც განაპირობა საბანკო ოვერდრაფტის გამოყენების აუცილებლობა და გამოიწვია უნივერსიტეტის ხარჯების 300.50 ათას ლარამდე ზრდა.

ასევე საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად გადანაწილების შედეგად 2011 წელს 8 სამეცნიერო კვლევით დაწესებულებას შეუწყდა დაფინანსება და ფუნქციონირებას აგრძელებენ გრანტებიდან მიღებული შემოსავლებით. შედეგად 2008 წლიდან 2011 წლამდე დათხოვნილ თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილია 237 %-ით, ხოლო მიღებულ თანამშრომელთა რაოდენობა შემცირებულია 73%-ით. საბოლოოდ 2008-2011 წლებში თანამშრომელთა ცვლილების სიხშირე 27%-ს გაუტოლდა. შედეგად უნივერსიტეტის მიერ 2011 წლამდე დათხოვნილ თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი წარმოადგენს არაეფექტურ ინვესტიციას.

- *განუსაზღვრელია ეკონომიკური საქმიანობის მიზნობრიობა*

2009 წლიდან უნივერსიტეტმა ინვესტიციები განახორციელა სასტუმროების, თეატრისა და სასტამბო ინფრასტრუქტურაში. აღნიშნული საქმიანობის მიზანი უნდა იყოს მისი ძირითადი ფუნქციის განხორციელების ხელშეწყობა, პროდუქტიულად მართოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესი, აამაღლოს მისი ხარისხი და მოიზიდოს სტუდენტთა დამატებითი რაოდენობა. ყოველივე ეს ასახული უნდა იყოს უნივერსიტეტის საქმიანობის გეგმებში, რომელიც უნივერსიტეტს გასულ პერიოდში არ შეუმუშავებია.

ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ თეატრისა და სასტუმროების ფუნქციონირების ძირითადი მიზანია სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ხელშეწყობა, ხოლო სტამბა და წიგნების მაღაზიები კომერციული დანიშნულებისაა. აუდიტით გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სასტუმროების მხოლოდ 2%-ია დატვირთული სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის, ხოლო დარჩენილი ემსახურება კომერციულ მიზნებს.

ასევე განუსაზღვრელია თეატრის მიზნობრიობა. ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ თეატრის მიზანია სასწავლო პროცესების ხელშეწყობა და სტუდენტთა მობილიზება. თეატრის დაარსება წინ უსწრებს უნივერსიტეტში სასწავლო ფაკულტეტის შექმნას, ხოლო თეატრი, დატვირთვის მიხედვით, 16% არის ათვისებული, რაც იმის მაჩვენებელია რომ თეატრი არათუ გარე მომხმარებელს, უნივერსიტეტის სტუდენტთა სეგმენტსაც ვერ ითვისებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური საქმიანობის მიზანი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და შესაბამისად დანერგილი სამუშაო პრაქტიკაში. შედეგად, აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების ხელშეწყობას.

- *ეკონომიკური საქმიანობა უნივერსიტეტს აყენებს ფინანსურ ზარალს*

უნივერსიტეტში სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლები წლიდან წლამდე მატულობს. 2008 წლიდან 2012 წლამდე უნივერსიტეტის მთლიანი შემოსავლები გაიზარდა 50%-ით, ხოლო უნივერსიტეტის მოგება შემცირდა 40%-ით. აღნიშნული გამოწვეულია ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ზრდით. შედეგად, 2008-დან 2012 წლამდე უნივერსიტეტის მთლიანი ხარჯები 65%-ით გაიზარდა, რამაც გამოიწვია უნივერსიტეტის მოგების მარჟის 13%-დან 5%-მდე შემცირება.

- *სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნობრიობა არ არის სათანადოდ შეფასებული და მკაფიოდ განსაზღვრული*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან კვლევით უნივერსიტეტს, რომელიც ეწევა საქართველოში მიმდინარე გამოყენებით და მეცნიერებათა ფუნდამენტური პრობლემების კვლევებს. გამოყენებითი სამეცნიერო პროექტების განსაზღვრისას საჭიროა საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება

და კვლევის სამომხმარებლო სეგმენტის განსაზღვრა. აღნიშნული კვლევები ძირითადად ფინანსდება ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტებით, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და გარე დაკვეთებიდან. პროექტის გეგმებისა და პრიორიტეტების განუსაზღვრელობით, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევების ნაწილი არააქტუალურია, საზოგადოებისთვის გამოუყენებადია და შედეგს ვერ აღწევს. მაგალითად, პროექტის არასათანადოდ შეფასების შედეგად, ბიოდიზელის მიღების ტექნოლოგიის კვლევის შედეგი ვერ იქნა მიღწეული.

- *უნივერსიტეტის ქონების მართვის ხარვეზები*

ბოლო 3 წლის განმავლობაში მიმდინარე ცვლილებებისა და რეფორმების შედეგად უნივერსიტეტის ბალანსზე ასახული შენობა-ნაგებობები 30%-ით გაიზარდა. შედეგად, დროის მოკლე მონაკვეთში უნივერსიტეტის აქტივების მართვა გართულდა. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ნაწილის რეალური დანიშნულება არ არის განსაზღვრული. უნივერსიტეტის მფლობელობაშია გამოუყენებელი, ასევე დაზიანებული შენობა-ნაგებობები. რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უნივერსიტეტის ქონების მართვაში არ არის დანერგილი შიდა კონტროლის სათანადო მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში არსებული არაფინანსური აქტივების ეფექტიანად გამოყენებას.

- *ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის სუსტი მექანიზმები*

ბოლო წლებში განხორციელებულმა რეორგანიზაციამ, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ინსტიტუტების ინტეგრაციამ ილიას უნივერსიტეტთან, კომერციული საქმიანობის გაფართოებამ და კვლევითი პროექტების ადმინისტრირებამ საგრძნობლად გაზარდა უნივერსიტეტის ფუნქციები. ყოველივე ამან შეასუსტა არსებული შიდა კონტროლის გარემოს ეფექტიანობა. მაგალითად, უნივერსიტეტში ინფორმაციის მოცულობის სწრაფმა ზრდამ განაპირობა მოცემული ბაზების დახარისხების, მუდმივი შემოწმების და სხვა დამოუკიდებელ მონაცემებთან შედარების აუცილებლობა, რის უზრუნველყოფას უნივერსიტეტი არსებული სააღრიცხვო პოლიტიკით, აღრიცხვის სისტემითა და რესურსით ვერ ახორციელებს.

- *შესყიდვების მართვის ნაკლოვანებები*

უნივერსტიტეტის ზრდასთან ერთად იზრდება უნივერსიტეტის ხარჯები და შესყიდვების მოცულობა. 2008-2011 წლებში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების რაოდენობა გაზრდილია 125%-ით. შედეგად, გაიზარდა შესყიდვების პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და ეკონომიურობის რისკი, რაც გამოიხატა პრეტენდენტის არასწორად შერჩევაში, შესყიდვის პროცედურების არაეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში. უნივერსიტეტში არ არის დანერგილი შიდა კონტროლები, პროცედურული ინსტრუქცია და მისი მონიტორინგის მექანიზმები.

აუდიტის რეკომენდაციები

1. უნივერსიტეტის ფინანსური სახსრების პროდუქტიულად განკარგვისთვის აუცილებელია სწორი დაგეგმვა. უნივერსიტეტმა წლის დასაწყისში დეტალურად უნდა გაწეროს სამოქმედო გეგმა, სადაც ასახული იქნება უნივერსიტეტის ყველა ის აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ეფექტიანად წარმართვას.

სამოქმედო გეგმა, მათ შორის, უნდა ასახავდეს აღნიშნული აქტივობების დაფინანსების წყაროებს. მიზანშეწონილია, შეფასდეს ის პროგრამები, რომლებიც შესაძლოა, დაფინანსდეს სახელწიფო ბიუჯეტიდან. დეტალურად გაიწეროს ყველა ის აქტივობა, რომელიც სახელწიფო ბიუჯეტით ფინანსდება.

2. ეკონომიკური საქმიანობის მიზანმიმართულად და შედეგიანად წარმართვისთვის მიზანშეწონილია, განისაზღვროს სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული იქნება თითოეული ეკონომიკური საქმიანობის მიზანი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების პროდუქტიულად მართვას, ძირითადი ფუნქციის ხარისხის ამაღლებას და სტუდენტთა დამატებითი რაოდენობის მოზიდვას. აღნიშნული გეგმა უნდა გაიწეროს უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურისათვის, უნდა განხორციელდეს სწორი კომუნიკაცია და მონიტორინგი, რომელიც უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას. უნდა შემუშავდეს პროცედურები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფაქტიური შესრულებული სამუშაოს შედარება წლის დასაწყისში დაგეგმილ მონაცემებთან.

3. ეკონომიკური საქმიანობის პროდუქტიულობის პერიოდულად შეფასება დაეხმარება უნიევერსიტეტს აღნიშნული საქმიანობაში ხარვეზების გამოვლენასა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას კონტროლის ის მექანიზმები, რომელიც გაანალიზებს თითოეული კომერციული საქმიანობის შემოსავლებსა და ხარჯებს, განსაზღვრავს ნულოვანი მოგების შესაძლებლობებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს სამოქმედო გეგმებში.

4. საქართველოში კვლევების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის, შესწავლილი და განსაზღვრული უნდა იქნას ის პრიორიტეტული საკითხები, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს. აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ გაიზარდოს სამეცნიერო პროექტების გამოყენებითი ღირებულება და სარგებლიანობა, რაც რეალურ წვლილს შეიტანს ეკონომიკისა და ბიზნეს გარემოს განვითარებაში.

5. უნივერსიტეტის ქონების ეფექტიანი მართვა დაემხარება უნივერსიტეტს შემოსავლების ზრდასა და ხარჯების ოპტიმიზაციაში. უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს მის სარგებლობაში არსებული შესაფერისი შენობა-ნაგებობებისა და სხვა უძრავი ქონების ოდენობა, რომელიც ესაჭიროება დასახული მიზნების მისაღწევად. დეტალურად უნდა განსაზღვროს არსებული ქონების გამოყენების მიზანი. გამოუყენებელი და ამორტიზებული ქონების გამოსავლენად კი უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია. უნივერსიტეტისათვის გამოუსადეგარი ქონების

შემდგომი განკარგვის საკითხები უნდა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სწორი ფინანსური ანგარიშგება და დეტალური ინფორმაციული ბაზები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ წინაპირობას გადაწყვეტილების მისაღებად. უნივერსიტეტმა უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის ყველა აქტივობების შემოსავლების და ხარჯების დაყოფას, და მის შედარებას დამოუკიდებელ მონაცემებთან.

6. უნივერსტიტეტმა უნდა შეიმუშავოს შესყიდვების დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს არაეკონომიური შესყიდვების პრევენციას.

თავი I - შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალური ეკონომიკის მდგომარეობის გათვალისწინებით, დღეს და სამომავლო გამოწვევაა ახალი მიმართულებების, ახალი ხედვისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორს მმართველობითი სისტემის გაუმჯობესებაში და მათ სწრაფ განვითარებაში. აქედან გამომდინარე, ძლიერი საგანამანათლებლო და სამეცნიერო სისტემა იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სახელწიფო ეკონომიკის წინსვლისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში სახელწიფო ინტერესი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების მიმართ მატულობს, რაც გამოიხატება ბოლო წლებში არსებული ცვლილებებითა და რეფორმებით.

კერძოდ, 2010 წელს საქართვლოს მთავრობის დადგენილებებით[2] 33 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეუერთდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. არსებული ცვლილებების შედეგად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსები, ხარჯები და შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც გაზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ეფექტიანად მართვის რისკები.

მიმდინარე რეფორმებისა და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა 2010-2012 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად იქცა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საგანმანათლებლო სისტემის აუდიტის ფარგლებში შეისწავლა ქვეყანაში მოქმედი მსხვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. განხორციელებული აუდიტის პროექტების შედეგად გამოვლინდა სისტემური ნაკლოვანებები უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების ადმინისტრირების, ფინანსური რესურსების, სახელმწიფო ქონებისა და ეკონომიკური საქმიანობის მართვაში, რაც ზრდის საზოგადოების ინტერესს საგანმანათლებლო სისტემის მართვის, ანგარიშვალებულებისა და გამჭვირვალობის, სამეცნიერო მიღწევების რაციონალიზაციის საკითხების მიმართ.

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი, ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ბოლო 3 წლის მანძილზე მნიშვნელოვან რეფორმებს განიცდის. 2006-დან 2011 წლამდე მის შემადგენლობაში გაერთიანდა რამდენიმე ინსტიტუტი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება (იხილეთ დანართი #1).

შედეგად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო რესურსები მნიშვნელოვნად გაიზარდა. უმაღლესი სასწავლებლის რესურსების მნიშვნელოვანი

---

[2] საქართვლოს მთავრობის #185-ე, 270-ე და 274-ე დადგენილებები

ნაწილი მიმართულია ეკონომიკურ საქმიანობაზე, რომლის მიზანია მისი საკუთარი შემოსავლების მობილიზაცია განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ბიუჯეტიდან დაფინანსების შემცირების მიზნით.

აღნიშნული განაპირობებს რესურსების სწორად დაგეგმვის, იმპლემენტაციის და მონიტორინგის აუცილებლობას, რომელსაც ორგანიზაციაში დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები და მათი სწორად მართვის სისტემები უზრუნველყოფს.

1.1. აუდიტის კითხვები

აუდიტის კითხვები ჩამოყალიბებულია უნივერსიტეტის იმ ძირითადი ამოცანების საფუძველზე, რისთვისაც გამოიყენება მისი ძირითადი რესურსები და რაზედაც მიმართულია მისი საქმიანობა:

- რამდენად მიზანმიმართულად და პროდუქტიულად ხორციელდება ფინანსური და არაფინანსური რესურსების მართვა?
- რამდენად პროდუქტიულად ხორციელდება უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობა?
- რამდენად სწორად იგეგმება და იმართება შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო საქმიანობა?
- რამდენად ეკონომიურად ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვები?

1.2. შეფასების კრიტერიუმები

აუდიტის საფუძვლად გამოყენებულია შეფასების ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სანიმუშო პრაქტიკა, სტრატეგიული დაგეგმვის, ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემები;

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია იურიდიული პირის ქონების, რესურსების მიზნობრივად ხარჯვის და სხვა ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი პრინციპების რეგულირება;

- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომელიც არეგულირებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს;

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, რომელიც არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს შესყიდვების პროცედურებს.

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანად მართვის პრინციპები არ არის შემუშავებული, რომელიც დაეხმარება უმაღლეს სასწავლებლებს რესურსების ეფექტიანად მართვასა და პროდუქტიულობის უზრუნველყოფაში. ეფექტიანობის შეფასებისას სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიყენა ზოგადად საერთაშორისოდ აღიარებული მართვის პრინციპები, რომელთა მიხედვით ხდება უწყების საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შეფასება. აუდიტის მსვლელობისას გამოყენებული იქნა ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სწორად წარდგენას და შესყიდვების ეკონომიურად განხორციელებას.

1.3. აუდიტის შეზღუდვები

აუდიტი ძირითადად მოიცავდა ილიას უნივერსიტეტის მართვის სისტემების შესწავლას, რომელიც განხორციელდა უნივერსიტეტში, ადგილზე დაკვირვების, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შემოწმებით, დათვალიერებისა და ინტერვიუს საფუძველზე.

უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის შესწავლის მიზნით მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია თითოეული საქმიანობის შემოსავლების და ხარჯების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი ცალკე არ აღრიცხავს. ცენტრალიზებული ბუღალტრული ანგარიშგების შედეგად უნივერსიტეტის ყველა შემოსავალი და ხარჯი ერთად აისახება, რომელიც ართულებს უნივერსიტეტის ცალკეული ერთეულების შეფასებას. შედეგად, აუდიტის მსვლელობისას ეკონომიკური საქმიანობის ანალიზისას გამოყენებული ფინანსური მაჩვენებლები უნივერსიტეტმა მოამზადა და წარადგინა სახელწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნული ინფორმაციის სისწორის დაზუსტება შეუძლებელია სხვა ინფორმაციული წყაროს არარსებობის გამო.

უნივერსიტეტის აქტივების დიდი ნაწილი განლაგებულია სხვადასხვა რეგიონებში. მათგან ადგილზე შემოწმდა მხოლოდ აბასთუმნის ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია. ადგილზე არ შემოწმებულა ყაზბეგის მაღალი მთის ეკოლოგიის ინსტიტუტი, სეისმური მონიტორინგის ცენტრი, საზღვაო კვლევების ცენტრი გრიგოლეთში და კვლევითი ცენტრი დედოფლისწყაროში. შერჩევა განხორციელდა აქტივისა და მასზე გაწეული ინვესტიციების მოცულობის გათვალისწინებით.

1.4. ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიშის I თავი არის ანგარიშის შესავალი. II თავში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ, ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებით. ანაგრიშის III-VIII თავებში განხილულია გამოვლენილი გარემოებები. IX თავში წარმოდგენილია აუდიტის რეკომენდაციები. აღნიშნული

თავი მოიცავს პარაგრაფს, სადაც უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მიუთითოს მისი კომენტარები სახელწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებზე.

თავი II - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის შესახებ

ილიას სახელმწიფო უნივვერსტიტეტი დაარსდა „თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტისა“ და „თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის“ შერწყმის შედეგად.

2006-დან 2011 წლამდე უნივერსიტეტის შემადგენლობაში გაერთიანდა:

- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია;
- გურამიშვილის პედაგოგიური კოლეჯი;
- გოგებაშვილის პედაგოგიური კვლევითი ინსტიტუტი;
- ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია;
- სეისმოლოგიური მონიტორინგის ცენტრი;
- ზოოლოგიის ინსტიტუტი;
- ბოტანიკის ინსტიტუტი;
- გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის;
- პოლიტოლოგიის,
- დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიისა და
- სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტები.

რეორგანიზაციის შედეგად, უნივერსიტეტში 2011 წლისთვის ფუნქციონირებს 5 ფაკულტეტი:

- ბიზნესის,
- მეცნიერებათა და ხელოვნების,
- საინჟინრო,
- სამართლის,
- სპორტის ფაკულტეტები.

ბოლო წლებში აღნიშნული ფაკულტეტებზე ჩარიცხული სტუდენთა რაოდენობა გაიზარდა.



რეორგანიზაციის შედეგად განისაზღვრა უნივერსიტეტის ახალი მიმართულება, რომლის მიხედვით სასწავლებლის საქმიანობა ძირითადად ორიენტირებულია კვლევებზე. ქვემოთ მოცემულია ილიას უნივერსიტეტის საბაზრო წილი სახელწიფო უნივერსიტეტებთან შედარებით.



ასევე უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კვლევების განხორციელებაში. ყოველწლიურად საშუალოდ უნივერსიტეტის ბიუჯეტის 14% გამოყოფილია კვლევებისთვის. 2011 წლის ბოლოსთვის უნივერსიტეტის

შემადგენლობაში შედის თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები:

- აბასთუმნის ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია;
- სეისმური მონიტორინგის ცენტრი თბილისში;
- ყაზბეგის მაღალი მთის ეკოლოგიის ინსტიტუტი;
- საზღვაო კვლევების ცენტრი გრიგოლეთში;
- ამჟამად შენდება კვლევითი ცენტრი დედოფლისწყაროში.

სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ფლობს ბიბლიოთეკას, კინოს, თეატრსა და არქეოლოგიურ მუზეუმს.

გარდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისა, უნივერსიტეტი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. ესენია:

- წიგნების მაღაზია - ლიგამუსი;
- გამომცემლობა და სტამბა;
- სასტუმროები აბასთუმანსა და ყაზბეგში;
- საიჯარო ხელშეკრულებები ქ. თბილისში თემქაზე, ჩოლოყაშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების სარგებლობაში გაცემის თაობაზე;

აღნიშნული საქმიანობის მიზანია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და დამატებითი შემოსავლების მიღება.

უნივერსიტეტის მთლიანი შემოსავლები მოიცავს საგანმანათლებლო და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს (საკუთარი შემოსავლები), სახელწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას და სამეცნიერო კვლევებისთვის მიღებულ გრანტებს. 2008-2011 წლებში უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროების ზრდასთან ერთად, სამეცნიერო დაწესებულების შემოსავლებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.



უნივერსიტეტის განვითარება და ახალი სფეროების შეთავსება განაპირობებს უნივერსიტეტის მხრიდან მართვის სისტემების გაუმჯობესების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რესურსების სწორედ დაგეგმვას, გამოყენებასა და მონიტორინგს. განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელია ის სფეროები, რომელიც უნივერსიტეტმა ბოლო წლებში შეითავსა, რომელთა მართვის გამოცდილება მას მანამდე არ ჰქონია. კერძოდ, ესენია ეკონომიკური საქმიანობა და სამეცნიერო კვლევები, სარგებლობაში გადაცემული ქონების მართვა.

თავი III - უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების მიზნობრივად და პროდუქტიულად ხარჯვა

ფინანსური რესურსების მიზნობრივად და პროდუქტიულად მართვისათვის, ყოველი წლის დასაწყისში, უნივერსიტეტს უნდა განესაზღვრა ადმინისტრაციული ხარჯის მოცულობა, პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. შედეგად მოხდებოდა საკუთარი შემოსავლების და საბიუჯეტო სახსრების მობილიზება სასწავლო, სამეცნიერო, ეკონომიკურ და სხვა საქმიანობაზე.

ხარჯების არაპრიორიტეტულად გადანაწილების პირობებში წლის განმავლობაში ხდება ძირითადი საქმიანობის ხარჯების შეზღუდვა, რაც იწვევს უნივერსიტეტში დამატებითი სახსრების მოძიების აუცილებლობას და ადამიანური რესურსების ხშირ ცვლას.

3.1. საკუთარი შემოსავლების გამოყენების პროდუქტიულობა

2009 წელს უნივერსიტეტს ადმინისტრაციული ხარჯის დასაფარად შეექმნა ფინანსური რესურსების ნაკლებობა, რომლის დასაფარად ბანკისგან აიღო უპროცენტო ოვერდრაფტი, 1,342.03 ათასი ლარის ოდენობით. მსგავსი შემთხვევა უნივერსიტეტს 2010 და 2011 წლებშიც გაუჩნდა და შედეგად აითვისა 4,854.5 ათასი და 2,999.99 ათასი ლარი.

2009 – 2011 წლებში უნივერსიტეტს აღნიშნული საბანკო პროდუქტის გამოყენებისთვის გადახდილი აქვს 300.5 ათასი ლარის საკომისიო. თუ აღნიშნულ თანხას გადავიყვანთ რთულ პროცენტულ მაჩვენებლად, საბანკო ოვერდრაფტის საკომისიო შეადგენს 13%. ადმინისტრაციული და სახელფასო ხარჯის ზუსტი წლიური დაგეგმვის პირობებში უნივერსიტეტი თავიდან აირიდებდა მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემას და ხარჯს 300.5 ათასი ლარით შეამცირდებდა.

ფინანსური რესურსების არაპრიორიტეტულად გადანაწილებამ ასევე განაპირობა ილიას უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული 8 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დაფინანსების შეწყვეტა, რომელიც ფინანსებოდა სახელწიფო ბიუჯეტით და მიღებული გრანტებით. შედეგად ის თანამშრომლები, რომლებიც არ მონაწილეობენ საგრანტო პროექტებში, განთავისუფლებულ იქნენ ან უხელფასოდ აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. ასეთია, მაგალითად, გოგებაშვილის კვლევითი ინსტიტუტი და გურამიშვილის კოლეჯი (იხ. დანართი #2).



ადამიანური რესურსების ხშირი ცვლის ტენდენცია ბოლო 2008 – 2011 წლებში შეადგენს 27%, რაც ზრდის უნივერსიტეტის როგორც ეკონომიკურ, ასევე არამატერიალურ ხარჯებს. აღნიშნული გამოიხატება განთავისუფლებულ თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასებისა და მათ განვითარებაზე გაწეული ხარჯების გამოუყენებლობაში, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პერიოდსა და მათ ტრენინგზე დამატებით გაწეულ ხარჯებში.

3.2. სახელმწიფო სახსრების გამოყენების მიზნობრიობა

სახელწიფო სახსრების ეფექტიანად განკარგვის აუცილებელი პირობაა განისაზღვროს აღნიშნული რესურსის გამოყენების მიზნობრიობა. პრიორიტეტული საკითხებისა და მიმართულებების განუსაზღვრელობა ზრდის არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკს, რაც გამოიხატება უნივერსიტეტის ხარჯების ზრდაში და პრიორიტეტული მიზნების მიუღწევლობაში.

უნივერსიტეტი წლის დასაწყისში საბიუჯეტო ზღვრის გათვალისწინებით გეგმავს სახელწიფო სახსრების მოცულობას, რომელსაც იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში[3]. 2008-2011 წლებში დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებლი აქტივობები არ არის განსაზღვრული, რაც განაპირობებს ადმინისტრაციული ხარჯების ზრდას და ისეთი პრიორიტეტული საკითხების დაუფინანსებლობას, როგორიც არის სამეცნიერო და კვლევითი პროგრამები. ყოველივე ზემოხსენებული გამოწვეულია არაჯეროვანი დაგეგმვის სისტემით და მიღწეული შედეგების შეუფასებლობით.

[3] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამა - 32 12 საბიუჯეტო კოდით.

ასევე სახელმწიფო სახსრების მიზნობრივად განკარგვისთვის აუცილებელია პროგრამული დაფინანსების საფუძვლის განსაზღვრა. მაგალითად, კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა, რომელიც სახელმწიფო სახსრებით ფინანსდება, ახორციელებს სამაგისტრო პროგრამას. აღნიშნული პროგრამაში მონაწილე უცხოელი სტუდენტების საცხოვრებელი ბინის ქირა და მათი სტიპენტიები ანაზღაურებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში 187,64 ათასი ლარი (სტიპენდიები - 107.75 ათასი ლარი და იჯარის ხარჯი - 79.89 ათასი ლარი). აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება დამტკიცებულია ყოველწლიურ საბიუჯეტო განაცხადში მაგრამ არ არის გათვალისწინებული როგორც პროგრამის, ასევე კავკასიის საერთაშორისო კვლევის სკოლის დებულების მიხედვით. აღნიშნული გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული არაჯეროვანი პროგრამით, სადაც ასახული უნდა იყოს ყველა ის აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებას.

თავი IV - ეკონომიკური საქმიანობა

2012 წლისთვის უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობას: სტამბა და გამომცემლობა, სასტუმროები, წიგნების მაღაზია და თეატრი.

ზემოხსენებული ეკონომიკური საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციის განხორციელების ხელშეწყობას, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებას, ხარისხის ამაღლებასა და დამატებითი სტუდენტების მოზიდვას.

ეკონომიკური საქმიანობის მიზნობრიობის შესწავლისას გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტს 2008-2011 წლებში არ შეუმუშავებია სტრატეგია, რომელშიც ასახული იქნებოდა უნივერსიტეტის მიერ ჩადებული ინვესტიციების მიზნობრიობა, მისი ამოღების გეგმა, შემოსავლების ზრდისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სტრატეგია[4]. შედეგად უნივერსიტეტმა დროულად ვერ შეაფასა ეკონომიკური საქმიანობის არაეფექტიანობა და წამგებიანობა, რამაც განაპირობა აღნიშნული საქმიანობის ძირითადი ფუნქციის შეუსრულებლობა და უნივერსიტეტის მთლიანი მოგების შემცირება.

2008 წლიდან 2012 წლამდე უნივერსიტეტის მოგება შემცირდა 40%-ით, მაშინ როდესაც მთლიანი შემოსავლები გაზრდილია 50%-ით, შედეგად უნივერსიტეტის მოგების მარჟა 13%-დან 5%-მდეა შემცირებული.



აღნიშნული გამოწვეულია ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ზრდით, რომელიც 2009 წლიდან აქტიურად ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ.

---

[4] ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობის მიზნობრიობის შესახებ გამოვლენილია ინტერვიუების საფუძველზე, რადგან აუდიტის ჯგუფმა დოკუმენტური მტკიცებულება ვერ მოიპოვა.

აუდიტის მსვლელობისას შეფასდა ეკონომიკური საქმიანობის თითოეული მიმართულება, მათი მიზნობრიობა, მიმდინარე პერიოდის შემოსავლიანობა და ნულოვანი მოგების მიღების შესაძლებლობა.

4.1. სასტუმროები

2008–2009 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინვესტიცია განახორციელა აბასთუმნისა და ყაზბეგის სასტუმროების ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ აღნიშნული საქმიანობის მიზანია სამეცნიერო მკვლევართათვის საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფა, რამაც სასტუმროების მთლიანი დატვირთვის 2%[5] შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევა უნივერსიტეტს შეეძლო ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით, მაგალითად, სამეცნიერო მკვლევართათვის სხვა ადგილობრივი სასტუმროს დაქირავება, უნივერსიტეტის ხარჯი იქნებოდა 1.5 ათასი ლარი ყაზბეგში და 5.9 ათასი ლარი აბასთუმანში[6], რაც სასტუმროების წლიურ ხარჯს 97%-ით შეამცირებდა. ზემოხსენებული კი იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული სასტუმროების მიზნობრიობა არ არის სწორად განსაზღვრული.

ასევე შეფასდა ეკონომიკური საქმიანობის მომგებიანობა, რომელსაც უნდა გაეზარდა უნივერსიტეტის შემოსავლები. სასტუმროების ხარჯმა 2009 – 2011 წლის ჩათვლით შეადგინა 643.37[7] ათასი ლარი. ხოლო აღნიშნული საქმიანობიდან შემოსავალი იმავე პერიოდში შეადგენდა 465.763 ათას ლარს. სასტუმროების შემოსავლების ტენდენციის შესწავლით გამოვლინდა, რომ აღნიშნული საქმიანობა სეზონურია და შემოსავლების ძირითადი მობილიზება ხდება ზაფხულის პერიოდში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლები საკმაოდ სწრაფი ტენდენციით გაიზარდა და 2011 წელს სასტუმროები სეზონურად თითქმის სრული დატვირთვით ფუნქციონირებდნენ, მიღებულმა მთლიანმა შემოვალმა ადმინისტრაციული ხარჯის მხოლოდ 72% შეადგინა. შედეგად 3 წლის მანძილზე სასტუმროებზე გაწეული ყოველწლიური ხარჯის ზრდამ გამოიწვია უნივერსიტეტის მთლიანი მოგების 177.61 ათასი ლარით შემცირება.

აუდიტის ჯგუფმა შეაფასა სასტუმროების ფუნქციონირებიდან ნულოვანი მოგების მიღწევის შესაძლებლობა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ მთლიანად გაწეული ხარჯების დასაფარად აბასთუმნის სასტუმრომ სრული დატვირთვით უნდა

---

[5] მეცნიერების მიერ ათვისებული სასტუმროს მომსახურების კოეფიციენტი დაანგარიშებულია შემდეგი ფორმულით: [(2011 წელს სასტუმროს მომსახურებით უზრუნველყოფილი მკვლევართა რაოდენობა (59 აბასთუმანი, 11ყაზბეგი) x 2011 საშუალო გაჩერების დღეებზე (2 დღე აბასთუმანში, 3 დღე ყაზბეგში) x საშუალო დღიურ ფასზე (35 ლარი)]/სასტუმროებიდან შემოსავალზე (2011 წლის აბასთუმანის, ყაზბეგის შემოსავალი)

[6] ალტერნატიური ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა იმავე რეგიონში არსებული ალტერნატიური საცხოვრებელი საშუალებების ღირებულება 2011 წელს, რომელიც შეადგენდა 50 ლარს.

[7] ხარჯი მოიცავს წლიურ კომუნალურ, სახელფასო და სხვა ხარჯებს. არ მოიცავს კაპიტალურ და ცვეთის ხარჯს. ეკონომიური საქმიანობის ხარჯების ცალკე აღურიცხაობის გამო შეუძლებელია გარკვეული ხარჯის გამიჯვნა.

იფუნქციონიროს 51 წლის განმავლობაში[8], ხოლო ყაზბეგის სასტუმრომ - 16 წლის განმავლობაში. აღნიშნული მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია სასტუმროებზე გაწეული ინვესტიციის მნიშვნელოვანი ზრდით, რომელმაც 2011 წლის ბოლოს, საბალანსე ღირებულებით შეადგინა 1,875.58[9] ათასი ლარი. შედეგად, უნივერსიტეტი აღნიშნულ ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეულ ხარჯს 16-დან 51 წლამდე ვერ დაფარავს, რაც განაპირობებს მოგების შემცირების ტენდენციის გაგრძელდებას.

4.2. სტამბა

უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია სტამბა და გამომცემლობა, რომლის მიზანია სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურული სახელმძღვანელოების დამზადება და რეალიზაცია. იგი იღებს კომერციულ შეკვეთებსაც. 2011 წელს სტამბის შემოსავლებმა შეადგინა 40.33 ათასი ლარი, ხოლო სახელფასო ხარჯმა[1] შეადგინა 251.75 ათასი ლარი. შედეგად, სტამბის ფუნქციონირებიდან უნივერსიტეტის მოგება შემცირდა 211.4 ათასი ლარით.

აუდიტორული პროცედურების განხორციელების შედეგად გამოვლინდა, რომ სტამბის და გამომცემლობის დაბალი შემოსავლები ძირითადად გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ უნივერსიტეტის მიერ დაბეჭდილი და გამოცემული სახელძღვანელოები ნაკლებად რეალიზებადი და ლიკვიდურია. 2011 წლისთვის სტამბის მიერ გამოცემულმა წიგნების თვითღირებულებამ შეადგინა 221.35 ათასი. შერჩევითი მეთოდით შემოწმდა 13 დასახელების 97.99 ათასი ლარის პროდუქცია და გამოვლინდა, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდამდე აღნიშნული პროდუქციის მხოლოდ 26% იქნა საწყობიდან გატანილი რეალიზაციისთვის. დარჩენილი 70%[10] ისევ საწყობში ინახება. შედეგად არარეალიზებადი წიგნების ბეჭდვაზე გაწეული ხარჯების მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების არაეფექტიანად გახარჯვას.

4.3. თეატრი

ილიას სახელწიფო უნივესიტეტის ბაზაზე 2010 წლიდან ფუნქციონირებს 130 ადგილიანი თეატრი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტების მოზიდვა და კვალიფიკაციის ამაღლება. თუმცა, აღნიშნულ პერიოდში თეატრის ფაკულტეტი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. უნივერსიტეტში

---

[8] ნულოვანი მოგების დათვლისას გამოყენებული იქნა შემდეგი ფორმულა: ფიქსირებული ხარჯი/(ფასი - ცვლადი ხარჯი ერთ ერთეულზე) სადაც ფიქსირებული ხარჯი = კაპიტალურ ხარჯს+მცირეფასიანი ინვენტარი, ფასი = 1 ნომრის დღიური ფასს, ცვლადი ხარჯი = ხელფასი+კომუნალური ხარჯები+სხვა ხარჯი. ასევე წლიური მაჩვენებლის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა ეკონომიკური საქმიანობის სეზონურობა - 4 თვე ანუ 122 დღე.

[9] თანხა მოიცავს შემდეგ ფიქსირებულ ხარჯს: შენობა ნაგებობის საბალანსე ღირებულებას +ძირითადი საშუალებების საბალანსე ღირებულება + მცირეფასიანი ინვენტარის საბალანსე ღირებულება

[1] შიდა აღრიცხვიანობის გაუმართაობის გამო, შეუძლებელია უნივერსიტეტის მთლიანი ხარჯებიდან სტამბის/გამომცემლობის კომუნალური და სხვა ხარჯების გამოყოფა, შედეგად აღნიშნული ინფორმაციის სისრულე ვერ დასტურდება.

[10] 4% გატანილია საწყობიდან გასაჩუქრების მიზნით

თეატრის ფაკულტეტი 2012 წლიდან არსებობს, ხოლო 2011 წლისთვის გაიხსნა თეატრალური პროფესიული სწავლების კურსი, რომელშიც 42 სტუდენტი სწავლობს. რადგან უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული აქტივობა დაწყებით ეტაპზეა, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო, შეედარებინა სტუნდენტთა მოზიდვის ტენდენცია. შესაბამისად შესწავლილი იქნა მხოლოდ თეატრის მომგებიანობა.

2011 წლისთვის უნივერსიტეტის თეატრში განხორციელდა 128 სპექტაკლი, რომლის შემოსავალმაც შეადგინა 13.25 ათასი ლარი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ თეატრი მუშაობს 16%-იანი დატვირთვით, რომლის წლიური სახელფასო ხარჯი შეადგენს 116.35 ათას ლარს. შედეგად, თეატრის ხარჯების არაეფექტურად გადანაწილებით და მისი არაპროდუქტიულად ფუნქციონირების გამო, უნივერსიტეტის მოგება შემცირებულია 103.1 ათასი ლარით, რომლის დაფარვას უნივერსიტეტი მობილიზებული სტუნდენტთა სწავლების გადასახადიდანაც ვერ შეძლებს.

4.4. წიგნის მაღაზია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ფლობს წიგნის მაღაზია „ლიგამუსს“, რომელიც ახორციელებს როგორც უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების, ასევე სხვა მწარმოებლებიდან მიღებული წიგნების რეალიზაციას.

2009-2011 წლამდე, წიგნების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 382.75 ათასი ლარი, რომლის ხარჯებმაც შეადგინა 609. 21 ათასი ლარი, რის შედეგად უნივერსიტეტის მოგება შემცირდა 226.0 ათასი ლარით.

შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ წიგნის მაღაზიის ზარალი ბოლო 3 წლის განმავლობაში 45%-ით გაიზარდა.

ცხრილი: #3: წიგნის მაღაზიის შემოსავალი, ხარჯი და ზარალი 2008 – 2011 წლებში

თანხები მოცემულია ათას ლარებში



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ეკონომიკურ საქმიანობას არ გეგმავს სათანადო ეკონომიკური პრინციპების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით განისაზღვრებოდა უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის მიზანი, რომელიც ხელშეუწყობდა ამ საქმიანობის შეფასებას და არსებული რისკების აღმოფხვრას.

ამჟამად, ეკონომიკური საქმიანობის შედეგად უნივერსიტეტის ხარჯები გაზრდილია 65%-ით, ხოლო აღნიშნული საქმიანობის დაბალი შემოსავლიანობის გამო 2008-2011 წლებში უნივერსიტეტის მოგება 13%-დან 5%-მდე შემცირდა, რაც იმის მაჩვენებელია რომ უნივერსიტეტის ხარჯების პრიორიტეტი ეკონომიკური საქმიანობაა. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა არ არის ორგანიზებული, რაც განაპირობებს აღნიშნულ ხარვეზებს.

თავი V - უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

2010-2011 წლების საქმიანობის წლიური ანგარიშების მიხედვით, უნივერსიტეტი ორიენტირებულია სამეცნიერო კვლევების განვითარებაზე, რომლის მიზანია განსაზღვრული მიმართულების ფუნდამენტურად შესწავლა ან მიღებული შედეგის პრაქტიკაში გამოყენება. სახელწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა გამოყენებითი კვლევები, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინტერესს და კვლევის შედეგის სამომავლოდ პრაქტიკაში დანერგვას.

უნივერსიტეტის კვლევები ძირითადად ფინანსდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, სახელწიფო ბიუჯეტით სამეცნიერო ინსტიტუტებზე გამოყოფილი სახსრებითა და საკუთარი შემოსავლებით. საკუთარი შემოსავლებით დაფინანსებულია ორი ძირითადი მიმართულება - „ინოვაციური იდეების კომერციალიზაციების დეპარტამენტი“ და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

5.1. ინოვაციური იდეების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევა

უნივერსიტეტი საკუთარი დაფინანსების ფარგლებში ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს, რომლის მიზანია ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება და მისი კომერციალიზაცია.

გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი 2010–2011 წლებში სწავლობდა ბიოდიზელის საწვავის მიღების შესაძლებლობებს და მის კომერციალიზაციას. აღნიშნული მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ ბიოდიზელის საწვავის გამოყენების პრაქტიკაში დანერგვას. აღნიშნული კვლევის შედეგების ანგარიში არ შედგენილა, შესაბამისად ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოპოვებულია ინტერვიუების საფუძველზე.

2010-2011 წლებში ბიოდიზელის პროდუქციის დამუშავებასა და კომერციალიზაციაზე დაიხარჯა 119.05 ათასი ლარი, რომელიც მოიცავდა მცირე და ფართო მასშტაბით მცენარე რაფსის[11] დათესვას, მოყვანასა და გადამუშავებას, ბიოდიზელის მიღების ტექნოლოგიების შესწავლას და მის პრაქტიკაში დანერგვას უნივერსიტეტის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით. შედეგად, კვლევა დაიყო ორ ნაწილად: მცირე მასშტაბით ინოვაციური საწვავის დამუშავება და ფართო მასშტაბით უნივერსიტეტის საწვავის ხარჯის შემცირება ბიოდიზელის გამოყენებით.

2010 წელს უნივერსიტეტმა დაიწყო ბიოდიზელის მიღების ტექნოლოგიის შესწავლა, რომელიც მოიცავდა გამოყენებული ზეთით ბიოდიზელის პროდუქტის მიღებას, 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დამუშავებას, მცენარე რაფსის დათესვას, მოსავლის აღებასა და მისგან ბიოდიზელის გამოყვანას. მცენარე რაფსისგან

[11] მცენარე რომლის დამუშავების შედეგად მიიღება ბიოდიზელი.

ბიოდიზელის მიღების ტექნოლოგიების შესწავლაზე პირველ ეტაპზე გაწეული იქნა 26.08 ათასი ლარი. აღნიშნული კვლევის შედეგად მიღებული იქნა 3.5 ტონა რაფსი, რომლიდანაც მხოლოდ 200 კგ დამუშავდა ბიოდიზელის სახით, ხოლო დარჩენილი მოსავალი შენახული იქნა.

მცენარე რაფსიდან ბიოდიზელის მიღების შესწავლის შემდგომ დაიგეგმა აღნიშნული პროექტის კომერციალიზაცია და უნივერსიტეტის ბაზაზე ბიოდიზელის გამოყენების პრაქტიკაში დანერგვა. უნივერსიტეტი აღნიშნული პერიოდისათვის ფლობდა დიზელზე მომუშავე 10 ავტოსანტრასპორტო საშუალებას და 2 მძიმე ტექნიკას, რომელზეც დახარჯული დიზელის ხარჯი ყოველწლიურად შეადგენდა საშუალოდ 61.71 ათას ლარს. აღნიშნული ხარჯის შემცირების მიზნით გადაწყდა ბიოდიზელის გამოყენების პრაქტიკაში დანერგვა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა იჯარით სარგებლობაში აიღო 100 ჰექტარის მიწის ფართობი, რომლის საიჯარო საფასურმა წლიურად შეადგინა 15,0 ათასი ლარი, შეიძინა რაფსის დასამუშავებელი დანადგარი ღირებულებით 29.5 ათასი ლარი და გასწია 48.47 ათასი ლარის სახელფასო ხარჯი. სულ დაიხარჯა 92.97 ათასი ლარი, რომელიც დიზელის წლიურ ხარჯს 31,0 ათასი ლარით აღემატება.

ხარჯების შემცირების მიზნით ბიოდიზელის პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს არ შეუდგენია სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ფართო მასშტაბზე ბიოდიზელის მიღების ხარჯი და შეფასებული იქნებოდა პროექტის რენტაბელობა. მიუხედავად იმისა რომ 2011 წელს კლიმატური რისკების გამო უნივერსიტეტმა მოსავალი ვერ მიიღო, აღნიშნული პროექტის წარმატებულად დამთავრების შემთხვევაშიც კი უნივერსიტეტი დიზელის ხარჯის შემცირებას აღნიშნული პროექტის ფარგლებში ვერ შეძლებდა. ვინაიდან ბიოდიზელის მიღების ხარჯი 31 ათასი ლარით აღემატება წლიურ დიზელის ხარჯს. უნივერსიტეტი კომერციალიზაციის პროექტის დაწყებამდე პროექტის ხარჯთაღრიცხვის, რისკებისა და მოსალოდნელი შედეგების სათანადოდ შეფასებით თავიდან აიცილებდა დამდგარ ფინანსურ ზარალს.

5.2. სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია

უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია გრიგოლეთის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც მდებარეობს ლანჩხუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთში. მისი საქმიანობის სფეროებია შავი ზღვის, მათ შორის, დელფინების, იხტიოფაუნის შესწავლა.

ლაბორატორია მოიცავს საცხოვრებელ შენობას 9 ერთადგილიანი ნომრით და საზღვაო გემს. ეს უკანასკნელი ამჟამად შეკეთების პროცესშია. იგეგმება მისი მცურავ ლაბორატორიად მოდიფიცირება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ზღვის ბიომრავალფეროვნების შესწავლას, ასევე შავი ზღვის არქეოლოგიურ და გეოლოგიურ კვლევას. გემის კაპიტალურ შეკეთებაზე 2009-2011 წლამდე გაიწია 624.5 ათასი ლარი.

უნივერსიტეტის მიერ არ არის შედგენილი აღნიშნული ლაბორატორიის პროექტის გეგმა, სადაც ასახული იქნება მცურავი ლაბოლატორიის კაპიტალური შეკეთების დასრულების ვადები, მისი გამოყენების მიზნები, ამოცანების მიღწევის შესაძლებლობები და საშუალებები. შესაბამისად, განუსაზღვრელია სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიაზე გაწეული ხარჯის მიზნობრიობა.

თავი VI - სახელმწიფო ქონების მართვა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაიზარდა უნივერსიტეტის უძრავ-მოძრავი ქონება. ბოლო 3 წლის მანძილზე, უნივერსიტეტის ბალანსზე ასახული შენობა-ნაგებობები 91%-ით არის გაზრდილი, ხოლო არაწარმოებული აქტივები - 288%-ით.

ცხრილი #1: უნივერსიტეტის უძრავი ქონების ზრდის ტენდენცია:
თანხა მოცემულია ათას ლარებში



ზემოაღნიშნული ფაქტორი ზრდის უნივერსიტეტის ქონების ეფექტიანად აღრიცხვისა და მართვის რისკებს, რაც გამოიხატება სამართლებრივი კუთვნილების აღრიცხვიანობაში, გამოუყენებელი და დაზიანებული ქონების უფუნქციოდ არსებობაში.

6.1. სამართლებრივი კუთვნილება

აუდიტის მსვლელობისას სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შერჩევითი მეთოდით შეისწავლა უნივერსიტეტის ქონება, რის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის ძირითადი ქონება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, რაც ადასტურებს უნივერსიტეტის საკუთრებას. დაურეგისტრირებელია ქ. თბილისში ფალიაშვილის 34-ში არსებული და ბოლნისის აზერბაიჯანული სკოლის შენობები, რომელთა ნარჩენი საბალანსე ღირებულებები შესაბამისად შეადგენს 18.8 და 44.1 ათას ლარს. რეგისტრაციის არარსებობის გამო დასაზუსტებელია აღნიშნული ქონების ფართების ოდენობა. ასევე, დაურეგისტირებელია 316 მ2 შენობა თბილისის ზღვაზე, რომელიც ეკუთვნოდა ზოოლოგიის ინსტიტუტს, რომლის ნარჩენი ღირებულება 0-ის ტოლია.

6.2. ქონების გამოყენება

ქონების ეფექტიანად გამოყენება შესწავლილი იქნა შერჩევითი წესით, პირველადი დოკუმენტაციის[12] ანალიზითა და ადგილზე ფიზიკური დათვალიერებით.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა რომ ბორჯომის რაიონის სოფ. ახალდაბაში, ჭაჭარაქის ტერიტორიაზე განლაგებული ზოოლოგიის ინსტიტუტის კუთვნილი სამეცნიერო-სასწავლო-საცხოვრებელი დანიშნულების ოთხი შენობა-ნაგებობა არის გაძარცვული და მიტოვებულ მდგომარეობაში. შენობა-ნაგეგობის საერთო ფართი 305.9 მ2-ია, რომელიც განლაგებულია 2,972 მ2-ის არასასოფლო-სამეურნეო[13] დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ანალოგიურ მდგომარეობაშია დასასვენებელი სახლი თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ვაშლოვანში, საერთო ფართით 932.4 მ2.

ქონების რეაბილიტაციის საჭიროების გამო, შეუძლებელი ხდება აღნიშნული ქონებით სარგებლობა და გამოყენება. ქონება დაზიანებულია და, ფაქტობრივად, ფუნქციონირებისთვის შეუფერებელ მდგომარეობაშია.

თბილისში, შავთელის #3-ში განლაგებული სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულების 501.5 მ2 არასაცხოვრებელი ფართი არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს რეაბილიტაციას.

უფუნქციო მდგომარეობაშია თბილისში ძველი ვეძისის ტერიტორიაზე განლაგებული 110 მ2-ის შენობა-ნაგებობა, დაბა აბასთუმანში, 360 მ2 საბავშვო ბაღი, თბილისის ზღვაზე 316 მ2 შენობა და თემქაზე არსებული გურამიშვილის კოლეჯის 3,940 მ2-ის ადმინისტრაციული შენობა, რომლის ნარენი ღირებულებაა 247.2 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონებიდან 2,056 მ2 შენობა-ნაგებობა დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. შესაბამისად, აღნიშნული ფართი უფუნქციოა და არ არის განსაზღვრული მისი მიზნობრიობა. აუთვისებელია 4,410 მ2 ქონება, რომლის დანიშნულება და ფუნქცია განსაზღვრული არ არის.

---

[12] პირველადი დოკუმენტაცია მოიცავდა საჯარო რესტრიდან ამონაწერებს, ფოტო მასალებს და ქონების საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტებს

[13] კომერციული დანიშნულების მიწა.

თავი VII – შიდა კონტროლის სისუსტეები

ბოლო წლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა და რეფორმებმა საგრძნობლად გაზარდა უნივერსიტეტის საქმიანობის სფერო და რესურსები. შედეგად უნივერსიტეტში აუცილებელი გახდა არსებული შიდა კონტროლის გარემოს გადასინჯვა, გაუმჯობესება და ახალი კონტროლის მექნიზმების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს რესურების ეფექტიანად გამოყენებას, ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვას, სწორ აღრიცხვიანობასა და ანგარიშგებას.

აუდიტის მსვლელობისას გამოვლინდა ფინანსური და ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული სისუსტეები.

7.1. მართვასთან დაკავშირებული სისუსტეები

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველო, რომელიც ორიენტირებულია პროგრამების აკადემიური ხარისხის გამოკვლევით. ხარისხი მოწმდება უნივერსიტეტის გარკვეული ფაკულტეტის მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც ზრდის ფაკულტეტების არასწორად შერჩევის რისკს. შედეგად, შესაძლებელია მოთხოვნის არარსებობის საფუძველზე არ მოხდეს სუსტი და პრობლემატური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფა. სასურველია წლის დასაწყისში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დამოუკიდელად შეაფასოს ფაკულტეტების რისკები, რომლის საფუძველზე განისაზღვრება შესაფასებელი ობიექტები გარკვეული ინდიკატორების მიხედვით.

ეფექტიანად მართვისთვის აუცილებელია სწორი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გასაზღვრავს ორგანიზაციაში არსებულ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებსა და კონტროლის დონეებს. უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე, 9 უწყება უშუალო ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. აღნიშნულ ქვეუწყებებს არ გააჩნიათ ზედამხედველი მოადგილეები და უფლება-მოვალეობით თანკვეთაშია ერთმანეთან. მაგალითად, ხარისხის განვითარების სამსახურს ზედამხედველობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესების ადმინისტრირებაზე. შედეგად, ხდება მაკონტროლებელი ერთეულისა და განმახორციელებლის პასუხისმგებლობების თანკვეთა, რაც ამცირებს ობიექტურობის ხარისხს.

7.2. აღრიცხვიანობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლები

აუდიტის მსვლელობისას გამოვლინდა ფინანსური შიდა კონტროლების ხარვეზები, როგორიც არის ფინანსური ანგარიშგების შემოწმება, ინფორმაციული გაზების დახარისხება და შედარება, შემოსავლების აღიარება და სხვა.

115

2007 წელს შიდა კონტროლების სისუსტის გამო უნივერსიტეტმა შემოსავლებში ასახა 252.4 ათასი ლარი საფუძველი დოკუმენტაციის გარეშე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტმა მიიღო 385.6 ათასი ლარი. 133.2 ათასი ლარი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აისახა შემოსავლებში, ხოლო დანარჩენი 252.4 ათას ლარის მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ გაფორმებულა. უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული თანხა აისახება როგორც გაწეული მომსახურება.

დროულად არ ხორციელდება მატერიალურ ფასეულობათა (დიპლომების) ჩამოსაწერად ინფორმაციის წარდგენა საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებისთვის. არ ხდებოდა ყოველწლიური შედარებები ნაშთების დასაზუსტებლად. 2008 წლის მარტის თვეში შევსებული ბაკალავრის 373 ცალი დიპლომის ჩამოსაწერად, წარდგინება გაკეთდა აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული შერჩევითი ინვენტარიზაციის დღეს (2012 წლის 22 მაისს), რაც იწვევს მიმდინარე პერიოდში ფინანსური ანგარიშგების ცდომილებას.

ფინანსურ აღრიცხვასთან და მართვასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისუსტეები იმის მაჩვენებელია, რომ უნივერსიტეტი დროულად ვერ ახდენს არსებული რისკების პრევენციას, როგორიც არის აღურიცხავი ფასეულობები, სწორი ანგარიშგება და ფაკულტეტების ფუნქციონირების ხარისხის უზრუნველყოფა.

თავი VIII - განხორციელებული შესყიდვების კანონიერება და ეკონომიურობა

ილიას სახელმწიფო უნივერსტეტმა 2008-2011 წლებში განახორციელა 4,200 შესყიდვა, რომლის სახელშეკრულებო ფასმა შეადგინა 20,293,152 ლარი.

თანხა მოცემულია ათას ლარებში

შესყიდვისფორმა	2008		2009		2010		2011	
	რაოდ	ფასი	რაოდ	ფასი	რაოდ.	ფასი	რაოდ.	ფასი
ეპმ[14]	430	1,794	1118	2,466	1482	2,472	829	670
ფკ[15]	17	380	21	678	28	636	-	
ტენდერი	21	3,700	13	1,926	17	2,416	224	3,157

როგორც ცხრილიდან ირკვევა, უნივერსიტეტმა 2008-2011 წლებში სულ გამოაცხადა 275 ტენდერი, რომლის სახელშეკრულებო ფასმა შეადგინა 11,198,075 ლარი. აქედან 13 ტენდერი გამოცხადდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, შესყიდვის ფასმა შეადგინა 5,087,562 ლარი, რაც განხორციელებული ტენდერების 45 %-ს შეადგენს.

შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოებზე გამოყენებული თანხების ფინანსური და შინაარსობრივი არსებითობიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერების მართლზომიერების საკითხი.

შესწავლილ ტენდერებში გამოვლინდა რიგი სისტემური ხარვეზები, რომლებიც ეხება პრეტენდენტების სწორად შერჩევას, შესყიდვის პროცედურების ეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებას. აღნიშნულმა ხარვეზებმა გამოიწვია მაღალი ფასის მქონე კომპანიების გამარჯვება.

8.1. პრეტენდენტების შერჩევა

8.1.1 2008 წლის 9 ოქტომბერს უნივერსიტეტმა დაბა აბასთუმანში გათბობის სისტემის მოსაწყობად გამოაცხადა ტენდერი, სადაც მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა.

აღნიშნულ ტენდერში სატენდერო კომისიამ შეფასებაზე დაუშვა მხოლოდ შ.პ.ს. „ინტერმშენი a&p“, რომელიც, სატენდერო დოკუმენტაციის შეუსაბამობის მიუხედავად, გამოაცხადა გამარჯვებულად.

[14] ეპმ - ერთ პირთან მოლაპარაკება
[15] ფკ - ფასთა კოტირება

კერძოდ, შ.პ.ს. „ინტერმშენის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია ძალაში იყო 2008 წლის 30 იანვრამდე. შესაბამისად, ტენდერის ჩატარების დროს გასული ჰქონდა მოქმედების ვადა.

ტენდერში მონაწილეობდა ასევე შ.პ.ს. „პასატი“, რომელმაც წარმოადგინა 1 წლის დეკლარაცია. შემსყიდველის მოთხოვნილი ჰქონდა ბოლო 3 წლის დეკლარაციები. ამ საფუძვლით კომისიამ მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია შესყიდვის პროცედურებიდან. იმავე წლის 19 მაისს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე შ.პ.ს. „თოლიგე-2007“, რომელსაც ასევე არ ჰქონდა წარმოდგენილი ბოლო 3 წლის მოგების და ქონების დეკლარაცია სატენდერო კომისიამ დაუშვა შეფასებაზე. აღნიშნული ადასტურებს კომისიის არათანასწორ მიდგომას სატენდერო პროცედურებში პრეტენდენტების შერჩევაზე.

შ.პ.ს. „ინტერმშენსა“ და „პასატს“ შორის სატენდერო წინადადებების ფასთა შორის სხვაობამ შეადგინა 78,1 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა შ.პ.ს. „ინტერმშენს“ 198,0 ათას ლარზე. აღნიშნული თანხის 48% (95,0 ათასი ლარი) შეადგენდა გათბობის ქვაბების ღირებულება.

აუდიტის ჯგუფმა შ.პ.ს. „ინტერმშენისგან“ გამოითხოვა გათბობის ქვაბების შესყიდვის დოკუმენტაცია (ანგარიშფაქტურა, ინვოისები). მათი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქვაბების იმპორტი განხორციელდა თურქეთის რესპუბლიკიდან და მათი ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენდა 46,0 ათას ლარს (დღგ-ს ჩათვლით 54,0 ათასი ლარი).

შესაბამიდან, იმპორტირებული საქონლის ფასნამატმა შეადგინა 41,0 ათასი ლარი, რაც საიმპორტო ღირებულების (დღგ-ს ჩათვლით) 75%-ია.

8.1.2. უნივერსიტეტმა 2008 წლის 19 მაისს გამოაცხადა ტენდერი დაბა აბასთუმანში, სტეფანწმინდასა და თბილისში უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე 4 ლოტად, რომელშიც მონაწილეობდა 24 კომპანია.

გამარჯვებული	ლოტი #	ხელშეკრულების ფასი (ლარი)
შ.პ.ს. „ინტერმშენი“	1	1,200,230
შ.პ.ს. „იბერია“	2	276,698
შ.პ.ს. „ერ-თი-ჯი“	3	269,964
შ.პ.ს. „ერ-თი-ჯი“	4	87,000

აღნიშნულ ტენდერზე მონაწილეობდა ასევე შ.პ.ს. „ნოვა“, რომლის სატენდერო წინადადების ფასი ლოტების მიხედვით შეადგენდა:

ლოტი #1 - 1,058,210 ლარი;

ლოტი #2 - 67,592 ლარი;

ლოტი #3 – 262,729 ლარი;

ლოტი #4 – 87,496 ლარი.

სატენდერო წინადადებაში შესრულების ვადად შ.პ.ს. „ნოვას“ მითითებული ჰქონდა 150 დღე, ხოლო ცალკე დოკუმენტად ჰქონდა წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების ვადები, რომელიც შეესაბამებოდა შემსყიდველის მოთხოვნებს, თუმცა, კომისიამ მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია.

შ.პ.ს. „ნოვას“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი 358,3 ათასი ლარით ნაკლები იყო ზემოაღნიშნულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების სატენდერო ფასზე.

8.1.3 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ექსპერტიზის სამსახურის მიერ შერჩევითი საკონტროლო აზომვების შედეგად სამუშაოები ჩატარდა შ.პ.ს. „ინტერმშენის“ მიერ შესრულებულ სამუშაოებზე შემდეგ ობიექტებზე:

1. დიდი და პატარა სასტუმროები;
2. 48 სმ-იანი სარკიანი ტელესკოპის შენობა;
3. 40 სმ-იანი ცეისის ორმაგი ასტროგრაფის შენობა;
4. ქრომოსფერული ტელესკოპის შენობა;
5. მზის ტელესკოპის შენობა;
6. სპექტროჰელიოსკოპის შენობა;
7. საბაგიროს ზედა და ქვედა სადგურები;
8. საბაგირო გზის რეაბილიტაცია;
9. საყარაულო შენობა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა სხვაობები ფაქტობრივ შესრულებასა და ფორმა N2-ში დაფიქსირებულ მოცულობებს შორის, კერძოდ: დიდი სასტუმროს რეაბილიტაციისას ფორმა N2-ით დადგენილი 587 კვ.მ იატაკის ლამინატით მოწყობის ნაცვლად დაიგო 645 კვ.მ ლამინატის იატაკი, ანუ 58 კვ.მ-ით მეტი, რამაც თანხობრივად შეადგინა 1,624 ლარი.

პატარა სასტუმროს შენობის ფასადის სამღებრო სამუშაოებისას ნაცვლად 1,160 კვ.მ-სა ფაქტობრივად შეიღება 772 კვ.მ, ანუ 388 კვ.მ ნაკლები, რამაც თანხობრივად შეადგინა 5,820 ლარი.

აღნიშნული სახის დარღვევები აღმოჩენილია ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა ობიექტზე. შედეგად, მთა ყანობილზე ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ ზედმეტობით შეადგინა 7,570 ლარი, ხოლო ნაკლებობით - 29,364 ლარი, შესაბამისად, ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 21,794 ლარი.

8.2. შესყიდვის პროცედურების დაგეგმვა

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერების შესწავლის შედეგად აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა, რომ ჩატარებული 13 სამშენებლო ტენდერიდან 11 ტენდერში, ანუ 84 %, სატენდერო კომისიის მიერ განხორციელებული შეფასებების შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა მაღალი ფასის მქონე კომპანიები.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა შესყიდვის დაგეგმვის პროცედურები, შეფასების კრიტერიუმების დადგენის და მათთვის შესაბამისი კოეფიციენტების მინიჭების საკითხი.

სატენდერო კომისია პრეტენდენტებს ძირითადად აფასებდა ერთი და იგივე კრიტერიუმის მეშვეობით. კერძოდ, სატენდერო წინადადების ფასი, სამშენებლო რისკების დაზღვევა, ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება, ფინანსური მდგომარეობა და ანგარიშსწორების პირობები.

8.2.1 შეფასების კრიტერიუმების დადგენის წესი და პირობები შესაბამის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იყო დეტალურად რეგულირებული. შესაბამისად, შემსყიდველს თავად უნდა განესაზღვრა შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები, რომელიც ხელს შეუწყობდა კანონის ძირითადი პრინციპის, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა თითოეულ ტენდერში დადგენილი შეფასების კრიტერიუმის აუცილებლობა, თუ რამდენად უზრუნველყოფდა თითოეული მათგანი ეკონომიურობის პრინციპის დაცვას.

აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა, რომ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმები ზრდიდა ტენდერში მაღალ ფასიანი კომპანიის გამარჯვების რისკს, რასაც ადგილი ჰქონდა კიდეც უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას. კერძოდ, უნივერსიტეტმა შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად დაადგინა სამშენებლო რისკის დაზღვევა, რაც გულისხმობდა კომპანიის მიერ ტენდერზე სადაზღვევო შეთანხმების წარმოდგენას, რომლის მოქმედების ვადა უნდა ყოფილიყო არანაკლებ 1 წლისა.

შეფასების კრიტერიუმებში სამშენებლო რისკების დაზღვევის შეყვანა და მისთვის შეფასების კოეფიციენტის მინიჭების აუცილებლობა არ არსებობდა რამოდენიმე გარემოების გამო:

8.2.1.1. უნივერსიტეტმა საბაზისო მონაცემთა ნუსხაში დეტალურად განმარტა, თუ რა რისკები უნდა დაეზღვია ტენდერში მონაწილე კომპანიას, კერძოდ:

ა. ხანძარი, აფეთქება, ნგრევა;

ბ. მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ზვავი, მეწყერი და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები;

გ. ქონების ქურდობა;

დ. ზიანი გამოწვეული სამუშაოს შესრულების დროს დაშვებული შეცდომით;

ე. ზიანი გამოწვეული დეფექტური მასალების გამოყენებით.

უნივერსიტეტსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებულ უზუფრუქტის ხელშეკრულებებში იმპერატიულად იყო დადგენილი გადაცემული ქონების დაზღვევის ვალდებულება.

უნივერსიტეტი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ყოველ წელს აზღვევდა სახელმწიფოს მიერ მისთვის გადაცემულ ქონებას შემდეგ რისკებზე:

ა. ხანძარი, აფეთქება, თვითმფრინავის ჩამოვარდნა;

ბ. მეხის დაცემა და სხვა სტიქიური უბედურება;

გ. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;

გ. ზარალი გამოწვეული ონკანის წყლის მიერ, კვამლით დაზიანება, ფანჯრის მინების, სარკეების, ვიტრინების მსხვრევა;

დ. მესამე პირთა ბოროტგანზრახული ქმედება, სატრანსპორტო საშუალებით შეჯახება.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტმა სადაზღვევო მომსახურების შესყიდვით დააზღვია ძირითადად ყველა ის რისკი, რაც მოთხოვნილი ჰქონდა საბაზისო მონაცემთა ნუსხით ტენდერის გამოცხადების დროს, გარდა სამუშაოს შესრულების დროს დაშვებული შეცდომის და უხარისხო სამშენებლო მასალით გამოწვეული დეფექტების აღმოფხვრის რისკისა.

უნივერსიტეტი სადაზღვევო წერილის გარდა ტენდერში მონაწილეობის მსურველებს სთხოვდა ასევე სამშენებლო კომპანიის მიერ გაცემულ წერილობით გარანტიას შესრულებული სამუშაოს უხარისხობით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრის შესახებ, რაც, თავის მხრივ, მოიცავდა ზემოაღნიშნულ რისკებს (სამუშაოს შესრულების დროს დაშვებული შეცდომის და უხარისხო სამშენებლო მასალით გამოწვეული დეფექტი).

8.2.1.2. 2008-2011 წლებში უნივერსიტეტს არ გამოუყენებია სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული გარანტიები, მიუხედავად იმისა, რომ 2-ჯერ გამოყენების აუცილებლობა დადგა, კერძოდ, 2008 წლის 10 ივლისს შ.პ.ს. „ერ-თი-ჯის“ და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად შესრულებულ სარემონტო სამუშაოებში აღმოჩნდა მთელი რიგი ხარვეზები.

2009 წლის 19 აგვისტოს უნივერსიტეტმა აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად მიმართა არა სადაზღვევო კომპანიას, არამედ მიმწოდებელს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დაზღვევის გარანტიის შეყვანა შეფასების კრიტერიუმებში ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

2008 წელს დაბა აბასთუმანში შ.პ.ს. „ინტერმშენის“ მიერ შესრულებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ექსპლუატაციის პროცესში გამოვლინდა ხარვეზები, რომლის გამოსასწორებლად საჭირო იყო 55,2 ათასი ლარი.

2010 წლის 20 ივლისს უნივერსიტეტმა მიმართა სადაზღვევო კომპანია „ვესტს“ გამოვლენილი ხარვეზის გამოსასწორებლად საჭირო თანხის ანაზღაურებაზე. სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე, იმ მოტივით, რომ ზიანი არ აღემატებოდა სადაზღვევოს წერილში დადგენილ ფრანშიზის ოდენობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასებაში დაზღვევის კრიტერიუმის შეყვანის აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან საჭიროების არსებობის შემთხვევაშიც კი უნივერსიტეტი არ იყენებდა სადაზღვევო გარანტიას. თუმცა, კომისიამ მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ კრიტერიუმის გამო ხდებოდა მაღალ ფასიანი კომპანიების გამარჯვება, არ მოახდინა შეფასების კრიტერიუმების კორექტირება.

8.2.2. კანონმდებლობით ასევე არ იყო დადგენილი, როგორ უნდა მომხდარიყო კრიტერიუმებისათვის შეფასების კოეფიეციენტების მინიჭება. ამ შემთხვევაშიც მთავარი ამოსავალი ეკონომიურობის პრინციპი უნდა იყოს შემსყიდველისთვის, და კოეფიციენტების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიურობის პრინციპი.

კოეფიციენტების დადგენისას სატენდერო წინადადების ფასს კომისია ანიჭებდა 0.35 ან 0.45 კოეფიეციენტს, შესაბამისად სხვა დანარჩენი კოეფიციენტების ჯამი აღემატებოდა ფასის კოეფიციენტს, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა რისკს, რომ სხვა კრიტერიუმებში ფორმალურად უკეთესი პირობების არსებობის შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებული ყოფილიყო შეუსაბამოდ მაღალი ფასის მქონე კომპანია.

მიუხედავად მაღალფასიანი კომპანიის გამარჯვების ტენდეციისა, უნივერსიტეტმა არ მოახდინა შეფასების კრიტერიუმების და კოეფიციენტების კორექტირება, რომელიც მიმართული იქნებოდა შესყიდვების ეკონომიურობის უზრუნველსაყოფად.

შედეგად 2008-2010 წლებში ზედმეტად გადახდილმა თანხამ შვიდ ტენდერზე შეადგინა 817,6 ათასი ლარი, რაც მთლიანი სამშენებლო შესყიდვების თანხის 16% შეადგენს.

თარიღი	ტენდერის დასახელება	გამარჯვებული კომპანია	ფასთა შორის სხვაობა (ლარი)
27.08.2008	სარეაბილიტაციო სამუშაოები თბილისში, სტეფანწმინდასა და გრიგოლეთში	შ.პ.ს. „უნივერსალი“	22,078
19.05.2008	სარეაბილიტაციო სამუშაოები დაბა აბასთუმანში და სტეფანწმინდაში	ლოტი 1 - შ.პ.ს. „ინტერმშენი ა&პ“ ლოტი 2 - შ.პ.ს. „იბერია“	350,809

3.09.2009	სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5	შ.პ.ს. „იბერია“	28,099
31.07.2009	სარეაბილიტაციო სამუშაოების ლანჩხუთსა და დედოფლისწყაროში	შ.პ.ს. „დაგი“	138,283
5.08.2009	სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია	შ.პ.ს. „იბერია“	72,000
14.09.2009	სარეაბილიტაციო სამუშაოების სპორტკომპლექს ქარიშხალასა და ყაზბეგში	შ.პ.ს. „დაგი“	76,376
18.05.2010	სარეაბილიტაციო სმუშაოების უნივერსიტეტის ქ. 2-ში	შ.პ.ს. „დაგი“	130,000

8.3. შესყიდვის პროცედურების განხორციელება

2008 წლის 7 აპრილს უნივერსიტეტმა მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფოსგან უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ უძრავ ქონებაზე, მდებარე უნივერსიტეტის ქ. #2-ში, აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო საუნივერსიტეტო კომპლექსის მოსაწყობად საჭირო თანხის გამოყოფის შესახებ.

საუნივერსიტეტო კომპლექსის მოსაწყობად უნივერსიტეტს უნდა განეხორციელებინა შემდეგი სამუშაოები:

სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო სრული საპროექტო (ესკიზური და ტექნიკური დოკუმენტაცია) დოკუმენტაციის შექმნა;

გამომცემლობისა და სტამბის შენობის რეაბილიტაცია;

ცოცხალი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერებათა ფაკულტეტის 5 სართულიანი

შენობის რეაბილიტაცია.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად უნივერსიტეტის წინასწარი გათვლებით საჭირო იყო 5 წელი.

უნივერსიტეტმა სამინისტროსგან მიიღო თანხმობა ამ პროცესისათვის საჭირო თანხების გამოყოფის შესახებ.

შესაბამისად, უნივერსიტეტმა 2008 წლის 24 ოქტომბერს გამოაცხადა ტენდერი საპროექტო დავალების შესყიდვაზე ცოდნის ქალაქის მოსაწყობად უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე ტერიტორიაზე, აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა არარეზიდენტმა კომპანიამ შ.პ.ს. „ლარსენმა“, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება 450,0 ათასი ლარზე. ხელშეკრულებით გათვალისწინეული მომსახურება შესრულდა

2009 წლის განმავლობაში და შესაბამისად უნივერსიტეტმა გადაიხადა ხელშეკრულების ფასიც.

ცოდნის ქალაქის მოსაწყობად საჭირო სამუშაოების შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა პროექტირების მეორე ეტაპის განხორციელება. თუმცა, 2010 წლის მაისამდე საუნივერსიტეტო კომპლექსის მოსაწყობად საჭირო სამუშაოები არ განხორციელდა.

2010 წლის 18 მაისს უნივერსიტეტმა გამოაცხადა ტენდერი უნივერსიტეტის ქუჩა #2-ში მდებარე შენობა-ნაგებობებში სპორტის ფაკულტეტის და ე. ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის თბილისის განყოფილების მოსაწყობად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 კომპანიამ. ზეპირი ვაჭრობის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადდა ყველაზე მაღალი ფასის მქონე კომპანია შ.პ.ს. „დაგი“, სახელშეკრულებო ფასმა შეადგინა 930,0 ათასი ლარი, რაც 131,0 ათასი ლარით აღემატებოდა შ.პ.ს. „გრუსიას“ ფასს. აღნიშნულ ტენდერშიც „დაგის“ გამარჯვება განაპირობა დაზღვევის კრიტერიუმმა.

რეაბილიტაციის პროცესში აღმოჩნდა, რომ შენობაში აუცილებელი იყო მზიდი კედლის გამაგრება, რაც ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული.

აღნიშნული სამუშაოს შესასყიდად უნივერსიტეტმა გამოაცხადა ფასთა კოტირება, რომელშიც გაიმარჯვა შპს „დაგიმ“ და გაუფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფასმა შეადგინა 91,5 ათასი ლარი.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის ქ. #2-ში მდებარე შენობა-ნაგებობები გასხვისდა სახელმწიფოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ქ. #2-ში მდებარე უძრავ ქონებაზე განხორციელებული სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების არაეფექტიანად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 471,5 ათასი ლარი.

თავი IX - რეკომენდაციები

ქვემოთ წარმოდგენილია სახელწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები, რომელიც მომზადებულია აუდიტით გამოვლენილ შედეგებზე დაყრდნობით და მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. აღნიშნული თავი მოიცავს პარაგრაფს, სადაც უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მიუთითოს მისი კომენტარები სახელწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია - უნივერსიტეტის მიერ ფინანსური რესურსების ეფექტიანად დაგეგმვა

უნივერსიტეტის ფინანსური სახსრების პროდუქტიულად განკარგვისთვის აუცილებელია სწორი დაგეგმვა. უნივერსიტეტმა წლის დასაწყისში დეტალურად უნდა გაწეროს სამოქმედო გეგმა, სადაც ასახული იქნება უნივერსიტეტის ყველა ის აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ეფექტიანად წარმართვას. აღნიშნული გეგმა უნდა მოიცავდეს უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას.

გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა უნდა შემუშავდეს უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და თანამშრომელთა მონაწილეობით, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრიორიტეტებსა და გრძელვადიან მიზნებს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს წლიური სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ყველა ის აქტივობები რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტს მოკლე და გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში.

სამოქმედო გეგმა უნდა ასახავდეს აღნიშნული აქტივობების დაფინანსების წყაროებს. მიზანშეწონილია, შეფასდეს ის პროგრამები, რომლებიც შესაძლოა, დაფინანსდეს სახელწიფო ბიუჯეტიდან. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დეტალურად უნდა გაიწეროს ყველა ის აქტივობა, რომელიც სახელწიფო ბიუჯეტით ფინანსდება.

ასევე, მენეჯმენტმა, სასურველია, უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურისთვის და განხორციელდეს სწორი კომუნიკაცია გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშოს პროცედურები და ფორმები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფაქტიური შესრულებული სამუშაოს შედარება წლის დასაწყისში დაგეგმილ მონაცემებთან.

რეკომენდაცია - ეკონომიკური საქმიანობის მიზნობრიობის განსაზღვრა და პროდუქტიულობის გაუმჯობესება

უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციის განხორციელების ხელშეწყობას, როგორიც არის სამეცნიერო და სასწავლო პროცესები. ყოველივე ეს განსაზღვრული უნდა იყოს უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, რომელიც ასევე უნდა ასახავდეს იმ მიმართულებებსა და აქტივობებს, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტს, ეფექტიანად წარმართოს ეკონომიკური საქმიანობა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განსაზღვრული პერიოდულობით უნდა განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობის შეფასება, რომელიც დაეხმარება მას აღნიშნულ საქმიანობაში ხარვეზების გამოვლენასა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში. უნივერსიტეტის მენეჯმენტმა უნდა შექმნას კონტროლის ის მექანიზმები, რომელიც გაანალიზებს თითოეული ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლებსა და ხარჯებს, განსაზღვრავს ნულოვანი მოგების შესაძლებლობებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს სამოქმედო გეგმებში. აღნიშნული დაეხმარება უნივერსიტეტს შემოსავლების ზრდასა და ხარჯების ოპტიმიზაციაში.

რეკომენდაცია - უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა

უნივერსიტეტის სამეცინიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა ემყარებოდეს გრძელვადიან გეგმებს, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო მოთხოვნების, აქტუალობისა და შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. აღნიშნული აუცილებელია მზარდი სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის პირობებში მათ მართვაში არაეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პრევენციისათვის.

შედეგად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სამეცნიერო კვლევების განსაზღვრისა და კომერციალიზაციისთვის უნდა შეისწავლოს ის პრიორიტეტული საკითხები, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს. აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ გაიზარდოს სამეცნიერო პროექტების გამოყენებითი ღირებულება და სარგებლიანობა, რაც რეალურ წვლილს შეიტანს ეკონომიკისა და ბიზნეს გარემოს განვითარებაში.

რეკომენდაცია - სახელწიფო ქონების მართვის გაუმჯობესება

უნივერსიტეტის ქონების ეფექტიანი მართვა დაეხმარება უნივერსიტეტს შემოსავლების ზრდასა და ხარჯების ოპტიმიზაციაში. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვროს იმ შენობა-ნაგებობებისა და სხვა უძრავი ქონების მოცულობა, რომელიც საჭიროა დასახული მიზნების მისაღწევად. უნივერსიტეტის მენეჯმენტმა უნდა უნდა ჩაატაროს ინვენტარიზაცია გამოუყენებელი და ამორტიზირებული ქონების გამოსავლენად. დეტალურად უნდა

განსაზღვროს ქონების ყველა ნაწილის გამოყენების მიზანი. უნივერსიტეტისათვის გამოუსადეგარი ქონების შემდგომი განკარგვის საკითხები უნდა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რეკომენდაცია - შიდა კონტროლების გაუმჯობესება

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა გააუმჯობესოს არსებული და დანერგოს ახალი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენას და დეტალური ინფორმაციული ბაზების სისრულეს. სწორი ფინანსური ანგარიშგება და დეტალური ინფორმაციული ბაზები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მისცემს სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

კონტროლის კომპონენტის დანერგვა, როგორებიცაა კონტროლის გარემო, რისკის შეფასება, საკონტროლო საქმიანობა, ინფორმაცია/კომუნიკაცია და მონიტორინგი, განაპირობებს იმ ბაზისს, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტი შეძლებს დასახული მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობების სამართლიანად და ობიექტურად გადანაწილება, რომელიც მნიშვნელოვანი პირობაა ინტერესთა კონფლიქტის რისკის შემცირებისთვის. ასევე დასახული მიზნის ხარისხის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია შედეგების დამოუკიდებელად და ობიექტურად შეფასება, რომლის საფუძველს წარმოადგენს რისკიანი სფეროების ადეკვატურად შეფასება.

რეკომენდაცია - შესყიდვების პროცედურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით

უნივერსტიტეტმა უნდა შეიმუშავოს შესყიდვების დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს არაეკონომიური შესყიდვების პრევენციას.

დანართები

დანართი #1 - უნივერსიტეტში გაერთიანებული ინსტიტუტები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები

ილიას სახელმწიფო უნივვერსტიტეტი დაარსდა 2006 წლის 16 მარტის #360 მთავრობის დადგენილების საფუძველზე, რომელიც „თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და „თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის“ შერწყმის შედეგად შეიქმნა. 2006-დან 2011 წლამდე მის შემადგენლობაში შევიდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, გურამიშვილის პედაგოგიური კოლეჯი, გოგებაშვილის პედაგოგიური კვლევითი ინსტიტუტი, ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია, სეისმოლოგიური მონიტორინგის ცენტრი, ზოოლოგიის, ბოტანიკის, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის, პოლიტოლოგიის, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის და სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტები.

დანართი #2 - უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სამეცნიერო დაწესებულებები:

#	სამეცნიერო კლველვითი დაწესებულებების დასახელება	შემცირება	სტატუსი	2011 წელი
1	**საგანმანათლებლო დანიშნულებითვის**			**1,171**
2	კავკასიის სკოლა	17%	შემცირდა დაფინანსება	399
3	სეისმური მონიტორინგის ცენტრი	15%	შემცირდა დაფინანსება	473
4	აბასთუმნის ობსერვატორია	13%	შემცირდა დაფინანსება	320
5	გოგებაშვილის ბიბლიოთეკა	0%		42
6	გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი	25%	შემცირდა დაფინანსება	189
7	გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	26%	შემცირდა დაფინანსება	344
8	გურამიშვილის კოლეჯი	100%	ლიკვიდაციის პირას	28
9	გოგებაშვილის კვლევითი ინსტიტუტი	100%	შეუჩერდა	48
10	ზოოლოგიის ინსტიტუტი	100%	შეუჩერდა	99
11	სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი	100%	შეუჩერდა	65
12	დიმიტრი უზნაძს ფსიქოლოგიის ინსტიტუტი	100%	შეუჩერდა	72
13	პოლიტოლოგიის ინსტიტუტი	100%	შეუჩერდა	74
14	დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი	100%	შეუჩერდა	65
15	თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტი	100%	შეუჩერდა	243
	სულ			**3,633**

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.